ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/34
(CPV80500000 - სატრენინგო მომსახურებები)

ქ. თბილისი 20 ივნისი, 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი უფროსის ლაშა ვერულავას სახით და მეორე მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ქეთევან კრიალაშვილის სახით (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტისა და მე-10[1] მუხლის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია: საკუთარი შემოსავლებით სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
1.2. ხელშეკრულების ობიექტია: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ხუთ თანამშრომელზე სათანადო პროფესიული ტრეინინგის ჩატარების უზრუნველყოფა. სატრეინინგო კურსი მოიცავს შემდეგ თემას: **სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება, რომლის დასრულებისას გაიცემა კურსის გავლის დამადასტურებელი, შესაბამისი სერტიფიკატი.**
1.3. ტრენინგი დაიწყება 2014 წლის 20 ივნისს და გაგრძელდება მიმდინარე წლის 16 ივლისამდე. ტრეინინგის ხანგრძლივობა ჯამში შეადგენს **16** (თექვსმეტი) აკადემიურ საათს.
1.4. ტრენინგ კურსს გაივლიან შემდეგი თანამშრომლები: **მაია სიმონიძე** - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე, **თამარ კუბიაშვილი** - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი, **ნიკოლოზ ლომსაძე** - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე, **ლანა შენგელია** - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესყიდვების მენეჯერი, **ლევან ტურაშვილი** - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მომსახურების ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 1250.00 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სათანადოდ გამოყოფილ ადგილზე, კერძოდ, ტრეინინგ-კურსი ჩატარდება **ქ. თბილისი, მელიქიშვილის 1/6, II სართული.**
4.2. შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო მომსახურება.
4.3. იმ შემთხვევაში თუ გრაფიკით გათვალისწინებული მეცადინეობა გაცდა, მიმწოდებული ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს გაცდენილი საათი ახალი ლექციის ჩატარებით, რის შესახებაც უნდა აცნობოს შემსყიდველს წერილობით (ელექტრონული ფოსტის საშუალებით mimedadze@emis.ge ან lshengelia@emis.ge).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე **მარიამ იმედაძე.**

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლით განსაზღვრულ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2 შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ერთი მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ან ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკ ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვისა და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პირველი მხარის წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყენოს შეტყობინების ალტერნატიული საშუალებები. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტში აღნიშნული პირი.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან ზეპირსიტყვიერად აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
მისამართი: ქ. თბილისი, საქართველო, ფანჯიკიძის ქ. N1ა,
მიმღები: ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE71BG0000000524958100
ს.კ 205300048;

ლაშა ვერულავა
უფროსი

(ხელმოწერა)

შემსრულებელი:
ა(ა)იპ - ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი 200276183
ს.ს. ბანკი რესპუბლიკა
ანგარიშის ნომერი GE75BR0000010895233845
მის: მელიქიშვილის 1/6

ქეთევან კრიალაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

(ხელმოწერა)